

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „თარგმანმცოდნეობა“
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი თარგმანმცოდნეობაში BACHELOR OF HUMANITIES IN TRANSLATION STUDIES
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	240 ECTS კრედიტი 180 კრედიტი ეთმობა ძირითად სპეციალობას, რომელშიც შედის 10 კრედიტი საბაკალავრო ნაშრომის დასაწერად. 60 კრედიტი - არჩევით კურსებს ან სტუდენტის მიერ არჩეულ დამატებითი სპეციალობას.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	პროგრამის მიზანია აღზარდოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება კარგი თეორიული მომზადება და შესაბამისი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, იქნება მაღალი კვალიფიკაციის მთარგმნელი, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებული, ექნება მაღალი მოქალაქეობრივი პრინციპები. კურსდამთავრებული შეისწავლის სპეციალიზაციის ენას B2 დონეზე, გააღრმავებს მშობლიური ენის ცოდნას, აითვისებს თარგმანის თეორიის საფუძვლებს და მთარგმნელობითი სტრატეგიებს, ჩამოყალიბებული ექნება ზოგადი მთარგმნელობითი უნარ-ჩვევები არჩეული სპეციალიზაციის ფარგლებში და გაეცნობა სხვადასხვა ტიპის დისკურსის თარგმნის სპეციფიკას. ექნება საკმარისი კომპეტენცია შემდგომში გააღრმავოს მისი ცოდნა არჩეულ პროფესიულ სფეროში.
სწავლის შედეგები	სწავლის მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები წარმოადგენს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და ღირებულებისა ერთობლიობას: კურსდამთავრებულს აქვს თარგმანის ზოგადი და კერძო თეორიების საფუძვლების ცოდნა, თარგმანის სახეებისა და სტრატეგიების ცოდნა; აცნობიერებს წერილობითი და ზეპირი თარგმანის კომპლექსურ საკითხებს, ჩამოყალიბებული აქვს სპეციალიზაციის ენის B2 დონის ენობრივი კომპეტენციები (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა, თარგმანი); შეუძლია მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში, მთარგმნელობითი საქმიანობა სპეციალიზაციის ენიდან ქართულ ენაზე და პირიქით; შეუძლია სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების გაგება, ანალიზი, რეფერირება, ინტერპრეტაცია და თარგმანი; ფლობს მთარგმნელობითი სტრატეგიებსა და ტრანსფორმაციებს, აქვს მთარგმნელობითი საქმიანობის და მისი ანალიზის უნარ-ჩვევები, შეუძლია თარგმანის სფეროში მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; შესწევს კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის უნარი; შეუძლია მშობლიურ და სპეციალიზაციის ენაზე ზეპირი და წერილი პრეზენტაციებისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება; გაცნობიერებული აქვს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, შეუძლია კულტურათაშორისი მედიატორის როლის შესრულება მულტიკულტურულ კომუნიკაციაში.
შეფასების წესი	სტუდენტის ცოდნის შეფასება ყოველ სასწავლო დისციპლინაში ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც: ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება - 40 ქულა; ბ) შუალედური გამოცდა - 20 ქულა; გ) დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა. დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: * სტუდენტი ვალდებულია დაეწროს სალექციო მეცადინეობების მინიმუმ 50%-ს, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება. * შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 20 ქულა;

	<p>საბოლოო შეფასება: სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება, თუ ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებებიდან: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. უარყოფითი შეფასებებია: (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი. საბაკალავრო ნაშრომის გაფორმება-წარდგენა ხდება ბსუ-ს ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მიხედვით (დადგენილება №111. 08.10.2015 წ., შევიდა ცვლილება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს №61 დადგენილებით - 09.08.2016 და №20 დადგენილებით 05.04.2017).</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>მარინე აროშიძე - ოთახი 22 marina.aroshidze@bsu.edu.ge მობ. ტელეფონი: 577141030 მარინე გიორგაძე - ოთახი 38 marina.giorgadze@bsu.edu.ge მობ. ტელეფონი: 577179799</p>